„ფინედუს კუთხე ბიბლიოთეკაში" - საკონკურსო განაცხადი

ფინედუ

ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ

სკოლის/ბიბლიოთეკის დასახელება	კონკურსანტის სახელი, გვარი, პოზიცია
სსიპ ქ.თბილისის 70-ე საჯარო სკოლა	სამოქალაქო განათლების მასწავლებელი რუსუდან კილასონია

ინფორმაცია ბიბლიოთეკის საჭიროებაზე

რატომ გსურთ ბიბლიოთეკაში „ფინედუს“ კუთხის დამატება • რატომ არის მნიშვნელოვანი სკოლაში/ბიბლიოთეკაში „ფინედუს“ კუთხის გახსნა? • როგორ შეუწყობს ხელს „ფინედუს“ კუთხე სკოლას/ბიბლიოთეკას და განათლების პროცესს?	აქტიურად ვთანამშრომლობ „ფინედუსთან“. პრაქტიკულად არც ერთ კონკურსი არ გამოგვიტოვებია მე და ჩემს მოსწავლეებს ისე, რომ მონაწილეობა არ მიგვეღო. გვიგემია გამარჯვებაც და საოცარი გამოცდილება, ცოდნა, ფინანსურ საკითხებზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიგვიღია თქვენი საგანმანათლებლო პროექტებითა და კონკურსების დახმარებით. ვიყავი ფინანსური წიგნიერების ელჩი და სულ უფრო და უფრო ვხდები დამოკიდებული თქვენს პროექტებზე. ძალიან მეხმარება თქვენთან თანამშრომლობა იმაში, რომ უფრო ეფექტიანად ვასწავლო ბავშვებს ფინანსური საკითხები. მქონდეს პრაქტიკული და ინტერაქტიული გაკვეთილები. წელს ჩამოვაყალიბე სკოლაში ფინანსური წიგნიერების კლუბი „ფილანტროფი“. არა ერთი აქტივობა განვახორციელეთ და სასწავლო წლის დამთავრებამდეც ვგეგმავთ რამდენიმეს განხორციელებას. კლუბის ჩამოყალიებების იდეა გაჩნდა, ეროვნულ ბანკში სტუმრობისას, როცა საბანკო სფეროზე და მომხმარებლის უფლებებზე ჩატარებულ ღონისძიებას დავესწარით. ვასწავლი საგან მოქალაქეობას, ჩემი საგაკვეთილო პროგრამა მოიცავს ეკონომიკის/ბანკის/ფულის/დაზღვევის/მომხმარებელთა უფლებების საკითხებს და თუ სკოლაში „ფინედუს“ კუთხე გვექნება, შევძლებ, რომ გაკვეთილები არაფორმალურ, არასაკლასო გარემოში ჩავატარო და თქვენ მიერ მოწოდებული რესურსებით, უფრო მრავალფეროვანი, საინტერესო და პროდუქტიული გავხადო. ამასთანავე ჩვენი კლუბის საქმიანობაც უფრო თემატურ სივრცეში და გარემოში ჩატარდება. „ფინედუს“ ბიბლიოთეკის მოწყობა, უფრო მეტ მოსწავლეს გაუჩენს ინტერესს დაკავდეს ფინანსურ წიგნიერებით. სხვა საგნის მასწავლებლებლებსაც ექნებათ წვდომა რესურსებზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების ჩართულობა და პატარა ასაკიდანვე ფინანსურ საკითხებზე ბავშვებთან საუბრები.

ინფორმაცია ჩასატარებული პროექტის/აქტივობის შესახებ	
პროექტის /აქტივობის დეტალები	**ქვემოთ მოცემულ ველებში დეტალურად აღწერეთ პროექტი/აქტივობა, რომელსაც განახორციელებთ/დაიწყებთ „ფინედუს“ მასალების გამოყენებით 2026 წლის 20 დეკემბრამდე.** • შეგიძლიათ აღწეროთ როგორც ხანგრძლივი პროექტი, მაგ.: ფინანსური განათლების კლუბის შექმნა, სემესტრული კონკურსები, ციფრული პროექტები, მასალების სხვა საგნებში ინტეგრირება და სხვ. ასევე, კონკრეტული, ერთჯერადი აქტივობები, მაგ.: ტრენინგი, დისკუსია, საჯარო შეხვედრები ბიბლიოთეკის სივრცეში, სოციალურ ქსელებში კამპანიები და სხვ. • შეგიძლიათ აღწეროთ გრძელვადიანი პროექტი, რომლის პირველ აქტივობასაც 20.12.2026-მდე ჩაატარებთ
მიზნობრივი სეგმენტი *(მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები ან სხვ)*	ჩვენი პროექტი იქნება მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის, მასწავლებლებისთვის და თემში მცხოვრები იმ ადამიანებისთვისაც, რომლებიც პირდაპირ შემხებლობაში არ არიან სკოალსთან. ჩვენს სკოლაში სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელი ბავშვები იღებენ განათლებას.
ადგილი, ხანგრძლივობა, ჯერადობა	პროექტის განხორციელდება სასკოლო სივრცეში და დაყოფილი იქნება რამდენიმე ეტაპად:
ინდივიდუალურად განახორციელებთ თუ სხვა პირის ან ორგანიზაციის ჩართულობით (თუ სხვაც ჩაერთვება, პერსონალური მონაცემების მითითების გარეშე),მოკლედ აღწერეთ რა დანიშნულებით/ფუნქციით ჩაერთვება	პროექტის ძირითადი ნაწილი განხორციელდება ინდივიდუალურად, ნაწილში კი ვითანამშრომლებ ბიზნეს ორგანიზაციებთან, რომ გახდნენ ჩვენი პროექტის სპონსორები. ეს კი მოსწავლეების ჩართულობის ხარისხს გაზრდის(მქონია ამის გამოცდილება და პროექტში გამარჯვებული ბავშვები დამიჯილდოვებია ფასიანი პრიზებით).

„ფინედუს კუთხე ბიბლიოთეკაში" - საკონკურსო განაცხადი

პროექტის/აქტივობის აღწერა **(რეკომენდირებულია 500-მდე სიტყვა)** *(მიუთითეთ ყველა რელევანტური ინფორმაცია პროექტის იდეის შესაბამისად: რაში მდგომარეობს იდეა, როგორ უკავშირდება იგი ციფრულ განათლებასა ან/და კიბერუსაფრთხოებას, როგორ წარიმართება შეხვედრა/შეხვედრები, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილავთ თემებს, რა სავარუდო თემები დაიფარება, რა მეთოდებს გამოიყენებთ და როგორ დაუკავშირებთ ფინანსურ განათლებას, რამდენი მონაწილე ჩაერთვება, პროექტი გრძელვადიანი თუ ერთჯერადი)*	პროექტის სახელი: „ჯანსაღი კონკურენცია პროექტის მიზანი:ფინანსური წიგნიერების პოპულარიზაცია, ბიზნეს უნარების გამოვლენა **პროექტის ვადა:** 1.06.2026 – 12.06. 2026 **საჭირო რესურსები:** ინტერნეტი, კომპიუტერი, ფერადი ქაღალდები, სტეპლერები, მარკერები, ლენტები, წებოები, ნაჭრები, პოლიეთილენის პარკები, მაკრატლები, საქსოვი ძაფები, ბისერები, ღილები. **ბიუჯეტი:** საკუთარი სახსრებით და რესურსებით განვახორციელებ, თუ სპონსორები არ მეყოლება. (მქონია სპონსორების მოძიების წარმატებული გამოცდილება და იმედი მაქვს, ამ შემთხვევაშიც გამოგვივა მე და ჩემს მოსწავლეებს). **პირველი ეტაპი:** კონკურსის შესახებ ინფორმაციის გავრცელება „ჯანსაღი კონკურენცია“ არის ფინანსური წიგნიერების შესახებ კონკურსი, რომელიც აძლევს სსიპ ქ. თბილისის 70-ე საჯარო სკოლის მე-6/მე-11 კლასის ჩათვლით მოსწავლეებს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები ფინანსური მიმართულებით და ჩამოაყალიბონ 6 კაციანი გუნდები(4 მოსწავლე 1 მშობელი და ერთი მენტორი მასწავლებელი). **კონკურსის წესები:** **პირველ ტურში** გუნდებს მოუწევთ ფინანსური წიგნიერების ქვიზის თამაში, რომელიც მოიცავს ციფრული ფინანსური წიგნიერების ყველა იმ საკითხს, რომელიც გათვალისწინებულია კონკურსის პირობებით:ფული და გადარიცხვები ციფრულ გარემოში; უსაფრთხოება ციფრულ გარემოში;ფინანსების დისტანციური მართვა; ქვიზის შედეგად მიღებული ქულები აესახება გუნდებს მათი მონაცემების გრაფაში. **მეორე ტურში** მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ საიმიჯო ნომერი (შექმნილი პროდუქტის წარდგენა, ეს შესაძლოა ლექსიც იყოს მათი დაწერილი, სიმღერა იმღერონ, იცეკვონ, ნახატი მოიტანონ სკეჩი დადგან და სხვ.) ჟიურის წინაშე, რომელიც შეფასდება 10 ქულიანია სისტემით.

	კრიტერიუმები: 10 წუთიანი რეგლამენტის დაცვა, კრეატიულობა, ჟიურის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა (ლოგიკური/ადეკვატური პასუხები). **მესამე ტური:** „ანბოქსინგი“ ამ ტურისთვის მონაწილე გუნდებს მოუწევთ აირჩიონ ყუთები, რომლებშიც არ იციან რა დევს და „ანბოქსინგის“ მერე უნდა შექმნან ნაწარმი. გახდნენ მეწარმეები შეზღუდულ დროში - 30 წუთში. შემდეგ კი წარმოადგინონ ჟიურის წინაშე. ჟიური კი შეფასებს 10 ქულიანი სისტემით და შემდეგი კრიტერიუმებით: პრეზენტაცია, კრეატიულობა, ფასი, (რამდენად ლოგიკური ფასი დაადეს თავიანთ პროდუქტს). **პროექტის ფინალი:** სამი ტურის შედეგებით გამოვლინდება 3 გამარჯვებული, რომელთაც გადაეცამათ საჩუქრები . (საჩუქრები იმაზეა და ამოკიდებული, სპონსორები როგორ და რით დაგვასპონსორებენ). კონკურსის რეგისტრაციისთვის აუცილებელია ონლაინ სარიგისტრაციო ფორმის შევსება 25 მაისამდე. კონკურსანტმა გუნდმა რეგისტრაციისას უნდა მიუთითოს გუნდის სახელი და წევრთა ვინაობა. გუნდში შეიძლება იყონ სხვადასხვა კლასის მოსწავლეები. **მეორე ეტაპი:** კონკურსის ჩატარების თარიღის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება **მესამე ეტაპი:** კონკურსის ჩატარება (სკოლის სააქტო დარბაზში). კონკურსის დაწყებამდე, დარეგისტრირებულ გუნდებს მივაწვდით „ფინედუს“ ციფრულ რესურსებს, რომ მოემზადონ ქვიზისთვის. კონკურსის ჟიურის ეყოლება 6 წევრი - 3 მასწავლებელი, 1 მშობელი, 1 მე-11 კლასელი მოსწავლე და 1 „ფინედუს“ წარმომადგენელი, თუ ამის შესაძლებლობა მოგვეცემა.

	ჟიურის წევრობის მსურველებმა უნდა გაირონ ონლაინ რეგისტრაცია, ეს ხომ ჯანსაღი კონკურენციის კონკურსია. პროექტი იქნება მრავალჯერადი: ყოველ წელს შეიძლება ჩაატაროს „ფილანტროფმა“. ჩვენი კლუბი ფიქრობს, რომ იმდენად რეზონანსული იქნება, რომ ყოველ წელს გაიზრდეა კონკრსში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა. საორგანიზაციო საკითხებს უხელმძღვანელებს ფინანსური წიგნიერების კლუბი „ფილანტროფი“.
პროექტის/აქტივობის მოსალოდნელი შედეგი *(მიუთითეთ, როგორ გაზომავთ პროექტის განხორციელების შედეგს ან რითი შეაფასებთ პროექტის წარმატებას)*	აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს ფინანსური წიგნიერების პოპულარიზაციას, მოსწავლეები მიიღებენ საინტერესო და სასრგებლო ინფორმაციებს, შეიძენენ/გაიმდიდრებენ ცოდნას ფინანსურ საკითხებზე.

დაახლოებით როდის გეგმავთ პროექტის ორგანიზებას/გრძელვადიანი პროექტის შემთხვევაში - დაწყებას	პროექტი განხორციელდება 1 ივნისიდან 12- ივნისამდე ფარგლებში, თუ ამ პერიოდში ვერ განხორციელდება, ახალი სასწავლო წლიდან 20 დეკემბრამდე ინტერვალში აუცილებლად განხორციელდება.